



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება: **ბ49. 4923010001**

თარიღი: **10/01/2023**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023 წლის 11 იანვარს , 13:00 საათზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

ა). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნარგიზა ტყაბლაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხსენებელი მაკა ჭელიძე/

ბ). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ

/მომხსენებელი მაკა ჭელიძე/

გ). „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

/მომხსენებელი შალვა კილაძე/

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს .

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

